საქართველოს რესპუბლიკა

წელიწადი პირველი

ფასი 50 კაპ.

მთავრობის მოამბე

ყოველდღიური გაზეთი

№ 101 | სამშაბათი, 25 ნოემბერი, 1918 წ. | № 101

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთავრობის მოამბე ყოველდღიური გაზეთი

(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

„საქართველოს რესპუბლიკა“

ღირს ერთი თვით **10** მ., ცალკე ნომერი ყველგან **50** კაპ.

სავალდებულო განცხადებანი დადგენილი ნიხრით, კერძო განცხადებანი შეთანხმებით.

გაზეთზე ხელის მოწერა მიიღება დილის **10—3** საათამდე.

(ბარონის ქუჩა № 6, ტელეფონი—1—82.

ღრმად დამწუხრებულნი: დედა ეფროსინე, ცოლი ნადია, ძმები ლადო, ილია და კოწია. დები ოლინკა, ნინა და ლუბა, სიძე სამსონ ლეჟავა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მძიმე ავათმყოფობის შემდეგ გარდაცვალებას პირველის ძვირფასი შვილის, ეორეს ქმრისა უკანასკნელთა ძმისა

ივანე სიმონის-ძე წიწიკაძის.

პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 9 საათზე საკუთარ ბინაზე. ელისაბედის ქუჩა № 52 ბინა 1. დასაფლავება 26 ნოემბერს დიდიბის ეკლესიის გალავანში, დილის 10 საათზე

1070 2—2

ფინანსთა სამინისტროს განსაკუთრებული სალიკვიდაციო განყოფილება

აცხადებს, რომ კავკასიის ფრონტის დაწესებულებათა ლიკვიდაციის დამთავრების გამო, ყველა იმ პირთ, რომლებსაც სალიკვიდაციო დახმარება ეკუთვნისთ, აუცილებლად უნდა წარმოადგინონ ტფილისის ხაზინაში, არა უგვიანეს ამა წლის 5 დეკემბრისა, ტალონები ხვედრი ფულის მისაღებად, ტალონები უნდა გატარებულ იქნეს ფინანსთა სამინისტროს სალიკვიდაციო განყოფილებაში, რათა რეგისტრაცია გაუკეთდეს ამ ტალონებს ტფილისის ხაზინაში. ვინც აღნიშნულ ვადაში ტალონებს არ წარმოადგენს, დაჰკარგავს უფლებას ხვედრი ფულის მიღებისას, ასიგნოვკები კი გაუქმდება.

1021 4—2

„ტფილისის ფურცლის“ გამომცემლობისაგან

„ტფილისის ფურცელი“ ახალ გამომცემლობის ხელში გადავიდა. გამომცემლებს ძალიან კარგად ესმით რა საპასუხისმგებლო საქმეს კისრულობენ. გრძნობენ რა ამ დიად პასუხისმგებლობას, იმათი მიზანია არ დაზოგონ საშუალება და არ შეჩერდნენ არავითარი დაბრკოლების წინ, რათა გარდაქმნან ეს გაზეთი სერიოზულ და ცოცხალ ორგანოდ საზოგადოებრივ აზრისა. მკაცრი უპარტიობა, ობიექტიური ანალიზი საზოგადოებრივ მოვლენათა და მიმდინარეობისა, ძმობის, სამართლიანობის, მშვიდობიანობის და პროგრესის იდეალების სამსახური—აი ის მიზნები, რომლებსაც განახორციელებს ჩვენი გაზეთი. ამასთან ერთად ჩვენ ვეცდებით საუკეთესოდ მოვაწყოთ გაზეთში ინფორმაცია, რათა ჩვენმა კორესპონდენტებმა რუსეთის და ევროპის ცენტრებიდან, საქართველოს და ამიერ-კავკასიის ყველა კუთხეებიდან ფოსტით და ტელეგრაფით ყოველთვის აცნობონ მკითხველებს, თუ რა ხდება სხვა სახელმწიფოებში. ამ მიზნების განსახორციელებლად მოწვეულია ახალი რედაქცია, რომელიც იმუშავებს ნ. ა. დუბროვსკისა და ა. ს. შირსკის მონაწილეობით. თანამშრომელთა სია ამ დღეებში იქნება გამოქვეყნებული. გაზეთის პირველი ნომერი, ახალი რედაქციით გამოვიდა კვირას, ნოემბრის 24.

2—1 1072

სახალხო განათლების სამინისტროს ნებართვით,

მოზრდილ ქალ-ვაჟთათვის (წლოვანება განუსაზღვრელია)

გაიხსნა ყაზბეგის ქუჩაზე № 18.

საღამოს ქართული გიმნაზია

(Вечерняя гимназія для взрослыхъ)

სახელმწიფო გიმნაზიის პროგრამით. ✦ **სწავლა სწარმოებს ქართულ ენაზე,**

თხოვნების მიღება გრძელდება. დაწვრილებითი ცნობები მსურველთ შეუძლიანთ მიიღონ გიმნაზიის კანცელარიაში, საღ. 5—7 საათამდის.

1080 2—1

გიმნაზიის გამგე ა. ი ო ა ნ ე.

კავკასიის ბანკის გამგეობა იუწყება

რომ ოთხშაბათს, 27 ნოემბერს, ბანკის ბინაზე, შტაბის ქ., დილის 11 ს. დანიშნულია აქციონერთა

არაჩვეულებრივი საზოგადო კრება

შემდეგი საკითხების განსახილველად: ბანკის ზოგი ძველი განყოფილების დახურვა, ახლის გახსნა და მიმდინარე საკითხები.

1036 1—1

ქრისტეშობისთვის 8-ს, დღისით 12 საათზე, მოხდება საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების

წლიური კრება

ბინა კრებისა გამოცხადდება შემდეგ.

1084 1—1

სახელმწიფო თეატრი

ო პ ე რ ა.

ს ა მ შ ა ბ ა თ ს, 26 ნ ო ე მ ბ ე რ ს

ტ. ი. საბანეევას, ბ. ი ზალიპსკის, ფ. ნ. პოლიაევისა და ვ. ა. ნიკოლსკის მონაწილეობით

სევილიელი დალაქი

ოპერა 3 მოქმედებად. როსინის მუსიკა. ფასები საგრძნობლად დაკლებულია. დასაწყისი საღამოს 7 ნახევარ საათზე. ხუთშაბათს, 28 ნოემბერს მ. ი. ალეშკოს, ა. მ. კანშინისა და ლ. ნ. ისეცკის მონაწილეობით „ჟიდოვკა“. შაბათს, ნოემბრის 30 ტ. ი. საბანეევას, ტ. ორდას, ბ. ი. ზალიპსკისა და ი. ნ. ისეცკის მონაწილეობით „რიგოლეტო“.

1052 1—1

ოპერის წარმომადგენელი ს. ი. ევლახოვი.

მედიცინის დოქტორი

ბერლინის უნივერსიტეტისა

გ. გ. მეგრაბიანცი

ჩამოვიდა და განაახლა ავადმყოფების მიღება.

შინაგანი ავადმყოფობა, ჭლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო წამლობის კაბინეტში; გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით დიდი სალენოიდი და არსევალის ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 6—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 7—92.

624. 18—9.

ექიმი ი. კ. აბაკელია

შინაგანი ავადმყოფობა.

განსაკუთრებით ავადმყოფობანი გულმკერდისა, ფილტვებისა, სასუნთქისა, ფილტვების აპკისა გულისა და ჯირკვლებისა.

ამოცნობა (დიაგნოზი) და წამლობა ყოველჭლექისა სისხლნაკლულობისა და მალარიისა.

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა საღამოს $4^1/_2$— 6 საათამდე.

პეტრე დიდის ქუჩა № 26. ტელეფ. 5—86.

№ 719.

მოქალაქენო! დაუმტკიცოთ ურწმუნოებს, რომ რაკი საჭიროება მოითხოვს

საქართველო შესძლებს

მისი უნივერსიტეტის და თეატრისათვის ხუთი მილიონი შეაგროვოს.

სულ ყველაფერში ნუ

დააწვებით ხაზინას!

მაშ. გავეშურნეთ და ყველამ, დიდმა და პატარამ, საცა კი გამოცხადებულია, შევიძინოთ ქართული ლატარიის ბილეთები. თუ ჩვენებურათ, ერთსულოვნად მოვინდომებთ წრეულს შობამდე შევძლებთ ამ თანხის მოგროვებას.

412 3—3

დაიბეჭდა და იყიდება გიორგი მამრაძის წიგნი:

საქართველოს სოციალ-პოლიტიკური ვითარება.

I „ქართლის ბედის“ უკულმართობა და საქართველოს ტრაგიზმი.

3—1. 1039. ფასი 3 მან. 50 კაპ.

ოფიციალური განყოფილება

განკარგულებანი

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისა.

20 ნოემბერი, 1918 წ.

№ 44.

დაინიშნოს ნაფიცი ვექილი კონსტანტინე იოსების ძე ჯაფარიძე მთავრობის საქმეთა მმართველის თანამდებობის ასრულებლად ამა წლის 14 ნოემბრიდან.

19 ნოემბერი, 1918 წ.

№ 45.

§ 1. სასახლის დაცვა მიენდო ტფილისის საყარაულო რაზმის უფროსს პოდპოლკოვნიკ ფურცელაძეს. დაცვის ორგანიზაციას ეხლავე უნდა შეუდგეს.

§ 2. სასახლის კომენდანტი პოლკოვნიკი ქარციეაძე გადარიცხულია სამხედრო მინისტრის განკარგულებაში.

5 ნოემბერი, 1918 წ.

№ 46.

მოწვეულ იქნას გარეშე საქმეთა მინისტრად ამ წლის 15 ნოემბრიდან ევგენი პეტრეს ძე გეგეჭკორი.

მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა.

საქართველოს რესპუბლიკის საგუბერნიო კომისრებს, სამაზრო საერობო თვითმართველობებს და სოხუმის ოლქის კომისარს.

საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა კანონ-პროექტი რესპუბლიკის ყველა სოფლის საზოგადოებებში წიგნთსაცავ-სამკითხველოების გახსნის შესახებ, რომლის კანონი მოთავსებული იყო მთავრობის მოამბის „საქართველოს რესპუბლიკის“ 78 ნომერში. აღნიშნულ კანონის მიზანია შეინარჩუნოს რევოლიუციით მონაპოვარნი, ხელი შეუწყოს დემოკრატიულ რეფორმების ცხოვრებაში გატარებას და განმტკიცებას და მიაწოდოს ფართო მასას რაც შეიძლება მეტი სულიერი საზრდო. ამ მიზნით რესპუბლიკის ყველა სოფლის საზოგადოების სკოლასთან გახსნილ უნდა იქნას წიგნთსაცავ-სამკითხველოები, განსაკუთრებით კი უკანასკნელნი.

ვინაიდან შესაძლოა, რომ ყველა სოფლის საზოგადოებებში არ არსებობდეს სოფლის სკოლები, ამ შემთხვევაში წიგნთსაცავ-სამკითხველოები გახსნილ უნდა იქნას სოფლის საზოგადოების სამმართველოებთან.

სოფლის სკოლებთან გახსნილ წიგნთსაცავ-სამკითხველოების გამგებლობა დროებით ევალებათ სკოლების ზედამხედველებს, რომლების ზედამხედველობით სამკითხველოში მორიგეობას ეწევიან უფროსი მოწაფეები, ხოლო სოფლის საზოგადოების სამმართველოებთან—კომისრებს.

ამისათვის საჭირო თანხა მთავრობისაგან უკვე გადადებულია, რომელსაც მოგაწოდებთ პირველ საჭიროებისამებრ და რასაც, სრული დარწმუნებული ვარ, მოახმართ დემოკრატიის სულიერ ამაღლების საქმეს.

ამასთან ყველა სახალხო წიგნთსაცავ-სამკითხველოებს უფასოთ ეთმობა გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკის“ თითო ცალი ერთი წლის ვადით დღიდან სამკითხველოს გახსნისა.

გაცნობებთ რა ამას, წინადადებას გაძლევთ, რათა რაც შეიძლება მეტის ენერგიით და გულმოდგინეთ მოეპყროთ თქვენდამი რწმუნებულ გუბერნიაში-ოლქში აღნიშნულ კანონ-პროექტის დაუყოვნებლივ სასურველად გატარებას, და შეაგნებინოთ ფართო მასსას მიზანი და დანიშნულება სამკითხველოებისა და სწავლა-განათლების უდიდესი მნიშვნელობა ერის და შვება დიდებისათვის.

შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი

კ. ს ა ბ ა ხ ტ ა რ ი შ ვ ი ლ ი.

საქართველოს რისპუბლიკის იუსტიციის მინისტრისა.

20 ნოემბერი, 1918 წ.

№ 44.

შტატ გარეშე დატოვებულ იქმნას: 1918 წ. ივლისის 5-ის თანახმად სალიკვიდაციო ფულის მიცემით სამინისტროს საქმის მწარმოებლის თანამდებობის აღმასრულებელი ლეონიდ სარდიონის-ძე ალექსი-მესხიშვილი დეკემბრის 1-დან.

22 ნოემბერი, 1918 წ.

№ 45.

განთავისუფლებულია თანამდებობის აღსრულებისაგან და სამსახურიდანაც, თანახმად თხოვნისა, ქუთაისის სასამართლოს ოლქის ყვირილის სამომრიგებლო განყოფილების მომრიგებელ-მოსამართლის თანაშემწე, საჩხერის საგამომძიებლო უბნის გამგე სერგი კონსტანტინეს-ძე ივანოვი.

იუსტიციის მინისტრი
შ. ალექსი-მესხიშვილი.

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროსი.

16 ნოემბერი, 1918 წ.

№ 261.

დანიშნულ იქმნა: შინაგან საქმეთა სამინისტროს კანცელარიის ადმინისტრატიულ განყოფილების უფროსის თანამდებობის აღმასრულებელი ვერლამ ნოეს-ძე მგალობლიშვილი—იმავე კანცელარიის ადმინისტრატიული განყობილების უფროსად, ამა წლის 4 ნოემბრიდან.

ირიცხება შინაგან საქმეთა სამინისტროს კანცელარიის მოხელეთა სიიდან: შინაგან საქმეთა სამინისტროს კანცელარიის ადმინისტრატიული განყოფილების უფროსი ივანე სიმონისძე წივწივაძე—ტფილისის ქალაქის მილიციის საქმეთა სამმართველოს მმართველად დანიშვნის გამო.

16 ნოემბერი, 1918 წ.

№ 260.

დანიშნულ იქმნენ: კონსტანტინე მურზაყანის-ძე საბახტარიშვილი, შინაგან საქმეთა სამინისტროს კანცელარიის საქმის მწარმოებლის თანაშემწედ, ამა წლის 14 ოქტომბრიდან, შინაგან საქმეთა სამინისტროს კანცელარიის მოხელე ალექსანდრე ფრიდონის-ძე ცინცაძე იმავე კანცელარიის საქმის მწარმოებლის თანაშემწედ.

16 ნოემბერი, 1918 წ.

№ 262.

დათხოვნილი არიან: პუნქტის ბეითლები: ქ. ტფილისის საძოვარ მინდვრებისა ვასილი ვლადიმერის-ძე გრომოვი და ბორჩალოს მაზრის ახალშენ ეკატერინოვსკისა ალექსანდრე ივანეს-ძე ბრატაშევსკი, ორივენი ამა წლის პირველ ნოემბრიდან.

19 ნოემბერი, 1918 წ.

№ 263.

დროებით გაიგზავნა: საერთო საქმის განყობილების უფროსი შინაგან საქმეთა სამინისტროს კანცელარიისა გაბრიელ ივანესძე თულაშვილი ქალ. ტფილისის და მისი მიდამოების ღენერალ-გუბერნატორის განკარგულებაში აღნიშნულ თანამდებობაზე დატოვებით უჯამაგიროთ 9 ნოემბრიდან.

12 ნოემბერი, 1918 წ.

№ 264.

დათხოვნილია ორი თვის ვადით ავადმყოფობის გამო, თანახმად მისივე თხოვნისა, დუშეთის სამაზრო ბეითალი-ექიმი ალექსანდე ივანეს-ძე პამრიასკინსკი, ამა წლის 10 ნოემბრიდან.

შინაგან საქმეთა
მინისტრი ნ. რამიშვილი.

არა ოფიციალური განყოფილება

შინაგან საქმეთა სამინისტროში

ლტოლვილნი.

შინაგან საქმეთა სამინისტროს რწმუნებული ლტოლვილთა საქმეებზე ა. ს. ლორთქიფანიძე აუწყებს ახალქალაქის მაზრის ლტოლვილთა საყურადღებოთ, რომ ოსმალთა მთავრობის განკარგულებით თანახმათ სამინისტროში მოსულ ცნობისა ახალქალაქის მაზრის ლტოლვილთ არ ეკრძალებათ დაბრუნება. მსურველთ ყოველ გვარ საქმეზე უნდა მიმართონ რწმუნებულს ტფილისში, კოჩუბეის ქ., № 13, ტელეფ. 16-80 დღის 11—2 ს. და საღამოობით 4—5 საათამდე.

ფულის გატანება.

ადერბეიჯანის რესპუბლიკის დიპლომატიურ წარმომადგენელმა საქართველოს რესპუბლიკაში ჯაფაროვმა აცნობა გარეშე საქმეთა მინისტრს, რომ ადერბეიჯანის ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის მოხელე მათე ივანის ძე კაჩებურმა, რომელსაც ანგარიშის ნაწილი ებარა 24 ათასი მანეთი სახელმწიფო ფული გაიტანა და მიიმალა. ჯაფაროვი სთხოვს მის შესაპყრობათ ზომების მიღებას. სამინისტრომ შინაგან საქმეთა მინისტრს გაუგზავნა ეს თხოვნა შესაფერ განკარგულებისათვის.

ფქვილი ბოდბის მონასტრის სკოლას.

შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით სიღნაღის ბოდბის ქალთა მონასტრის სკოლას თავის საჭიროებისათვის დაეთმო 600 ფუთი ფქვილი სასურსათო სამინისტროს საწყობიდან იმ ფასათ რა ფასშიაც თითონ აქვს შეძენული.

ჩუმლაყის სანერგეში.

ტფ. გუბერნიის კომისარმა აცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომ ჩუმლაყის სახელმწიფო სანერგის ქურდობის გამო დაპატიმრებულ იქმნენ როგორც სანერგის გამგე კ. მ. ნაკაშიძე, ისე თვით ქურდები.

სათესლე ხორბალი.

პასუხათ მიმართვისა შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალურ სასურსათო საბჭომ აცნობა, რომ ოზურგეთის სამაზრო ერობის საჭიროებისათვის სათესლე ხორბლის დასამზადებლათ მიღებულია საჭირო ზომები.

იუსტიციის სამინისტროში

ზუგდიდის სასამართლოს დაწვა.

ქუთაისის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარე და პროკურორი დეპეშით აცნობებს იუსტიციის მინისტრს, რომ ნოემბრის 23-ს დილის 4 საათზე გადამწვარა ზუგდიდის სასამართლოს შენობა ყველა საქმეებით და მთელის ინვენტარით, მოხდენილია სათანადო განკარგულება საქმის გამოძიების შესახებ.

განქორწინების პროექტი.

საკათალიკოზო საბჭოს მიერ შემუშავებულ განქორწინების პროექტის განხილვა დაასრულა იუსტიციის სამინისტროსთან მომქმედმა საუწყებათაშორისო კომისიამ. პროექტი ცოტაოდენის ცვლილებით სასწრაფოდ წარედგინება რესპუბლიკის მთავრობას და შემდეგ—პარლამენტს.

გამომძიებელთა კამერების რევიზია.

იუსტიციის მინისტრმა შ. ვ. ალექსი-მესხიშვილმა წინადაგება მისცა ტფილისის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარეს, რომ იქ, საცა ძველ გამომძიებლებს ჯერ არ დაუსრულებიათ საქმეების გადაცემა ახლად დანიშნულებისათვის, დაუყოვნებლივ იქმნას მიღებული ზომები საქმეების ჩაბარების დასამთავრებლად და აგრეთვე გამომძიებელთა საქმეების საერთო რევიზია.

ცხინვალის რევოლიუციონურ ტრიბუნალის საქმეები.

რადგან გამოირკვა, რომ ოლქის სასამართლოს პროკურორს ჯერ არ ჩაუბარებია ყოფილ ცხინვალის რევოლიუციონურ ტრიბუნალის საქმეები, მას წინადადება მიეცა დაუყონებლივ ჩაიბაროს, როგორც ცხინვალის, ისე სხვა რევოლიუციონურ ტრიბუნალების საქმეების ჩაბარება, საცა უკანასკნელი არ დასრულებულა.

იურიდიული ტერმინები.

იუსტიციის სამინისტროს ტერმინოლოგიურმა კომისიამ დაასრულა მუშაობა და გადასცა შემუშავებული მასალა იუსტიციის მინისტრს. უკანასკნელის გაკარგულებით, შემუშავებული ტერმინები დაბეჭდვამდე გადაეცემა პარლამენტის იურიდიულ კომისიას ზოგიერთ უკვე მიღებულ ტერმინებთან შესათანხმებლად.

საბიუჯეტო ცნობები.

მთავრობის დადგენილებით, ყველა სამინისტროებმა უნდა წარუდგინონ მთავრობას 1918 წლის ხარჯთ-აღრიცხვა ნოემბრის 26-მდე. ამის და კვალად იუსტიციის მინისტრმა დაავალა ყველა მის ხელქვეით დაწესებულებათ სათანადო ცნობების წარმოდგენა არა უგვიანეს ნოემბრის 24-ისა. შეკითხვაზე ჯერ-ჯერობით მიღებულია მხოლოდ სოხუმის ოლქის თავმჯდომარის პასუხი და აგრეთვე გამოგზავნილია ცნობები ქუთაისის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარის მიერ როგორც მისგან მიღებულ დეპეშიდან სჩანს სოხუმის ოლქის სასამართლოს ხარჯთ-აღრიცხვა ჰგულისხმობს (ზომრიგებელ-მოსამართლეთა ინსტიტუტის გამოკლებით) 67712 მან. შემოსავალს და 413112 მანეთის ხარჯებს.

სამინისტროს ახალი შტატები

იუსტიციის სამინისტრომ წარუდგინა მთავრობას დასამტკიცებლად ახალი შტატები სამინისტროს კანცელარიისა. ამის და კვალად მიღებულია ზომები სამინისტროს ბინის გასაფართოებლად.

კრედიტი სასამართლოს უწყების დაწესებულებათა შენობის გასათბობად.

იუსტიციის მინისტრმა მოხსენება წარუდგინა მთავრობას 50000 მანეთის კრედიტის გადადების შესახებ ათ-მილიონიან ფონდიდან სასამართლო უწყების დაწესებულებათა შენობის გასათბობად.

საპყრობილეთა ინსპექტორის მოადგილე.

საპყრობილეთა ინსპექტორის უფროს თანაშემწედ და ინსპექტორის თანამდებობის აღმასრულებლად დაინიშნა გ. დ. კანდელაკი. ინსპექტორის უფროსის თანაშემწის თანამდებობის აღსრულება დაეკალა ტ. ი. იარალოვს.

გზათა სამინისტროში.

გზის ხარჯები

ადერბეიჯანის რესპუბლიკის გზათა მინისტრმა მელიქ ასლანოვმა აცნობა გზათა მინისტრს, რომ მიღებულ წესისამებრ იმ ვაგონების ქირა, რომელიც ერთი გზა მეორეს აბარებს, მთავრობამ უნდა გადიხადოს და შემდეგ თითონ გაუსწორდეს სხვა გზებს. მელიქ ასლანოვი სთხოვს სამინისტროს მიიღოს ზომები ამ ვაგონების ქირა დროზე შეიტანოს ადერბეიჯანის რესპუბლიკის ხაზინაში.

ჯარის საკვები

ჯარების საკვების დამმზადებელ ნაწილის რწმუნებულმა ტელეფონოგრამით აცნობა სამინისტროს, რომ ჯარების საკვების გადაზიდვა ლიანდაგზე ფერხდება მთელი დღეობით და კვირაობითაც, რითაც ჯარის გამოკვების საქმე ფერხდებაო. რწმუნებული სთხოვს სამინისტროს განკარგულება უბოძოს საქართველოს რკინის გზების ყველა უფროსთ, რომ ჯარის საკვებით დატვირთული ვაგონები შეუფერხებლივ გაისტუმრონ.

ხორბალი ტყვიბულის მადნებისათვის

ცენტრალ სასურსათო საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგმა ტელეფონოგრამით აცნობა გზათა სამინისტროს, რომ 606 ფ. და 25 გირ. ხორბალი შეიძლება დაეთმოს ტყვიბულის მადნებს მხოლოდ ნაღდ ფულზე დ თუ ამ პირობებზე თანახმა არ იქნებით, ხორბალი სხვას გადაეცემაო.

ჯავახელი ლტოლვილნი.

კახეთის რკინის გზის უფროსმა დეპეშით აცნობა გზათა სამინისტროს, რომ თოვლისა და დიდ ყინვებისაგან შეწუხებული ჯავახელი ლტოლვილნი საგარეჯოს მახლობლად დაბანაკებულნი 23 ნოემბერს მიაწყდნენ სადგურის შენობას და ძალით დაიჭირეს იგი. თუ საგუბერნიო მთავრობამ ზომები არ მიიღო ძალმომრეობა მოსამსახურეებზე მათ მხრივ მოსალოდნელიაო. გზის უფროსის განკარგულებით გამოთხოვილია 10 ვაგონი მათ გადასაყვანათ ბადიაურში. ლტოლვილთა რიცხვი 2000 სულზე მეტს უდრის. გზის უფროსი საჭიროთა სთვლის მათ სწრაფ დახმარებას და გადაყვანას სხვა ნაწილში.

ნავთის ქვაბები.

გზათა მინისტრმა შემდეგი ტელეფონოგრამა გაუგზავნა საგარეო საქმეთა მინისტრს: „ამ ჟამათ სადგურ აქსტაფაში სდგას სამი მატარებელი ნავთით და მაზუთით სავსე ქვაბებით, რომელიც ეკუთვნის ოსმალეთის მთავრობას. ვინაიდან ამ ჟამათ რკინის გზას სრულებით არ მოეპოება მაზუთი და ნავთი, გთხოვთ აღძრათ შუამდგომლობა ადერბეიჯანის წარმომადგენელის ჯაფაროვის წინაშე, რომ ეს ქვაბები დაგვეთმოს ჩვენ ხვედრ ნავთისა და მაზუთის მაგივრათ“.

ბარგის მიღების აკრძალვა.

კახეთის რკინის გზის უფროსმა აცნობა გზათა სამინისტროს, რომ შეშის უქონლობის გამო ამიერიდან ყოველგვარ საქონლის მიღება, გარდა სამხედრო ბარგისა, კახეთის რკინის გზის ლიანდაგზე აკრძალულია. სიმხედრო ბარგისთვის დაეთმობათ ერთი ვაგონი წყვილიან მიმართულების მატარებელ და ორი ვაგონი კენტიან მიმართულებისას. ეს განკარგულება უნდა გამოკრული იყოს ყველა სადგურებზეო.

სახალხო განათლება

რევიზია.

სახალხო განათლების მინისტრმა ტფილისის ყველა საშუალო სასწავლებლებს დაუგზავნა ცირკულიარი, რომლითაც მინისტრი ავალებს დაჩქარონ სასწავლებლებში სამეურნეო ნაწილთა კომიტეტების რევიზია და შედეგი მოახსენონ განათლების მინისტრს.

სამღვთო სჯული.

სახალხო განათლების მინისტრმა სასწავლებლებს დაუგზავნა ცირკულიარი, სადაც ნათქვამია, რომ სასწავლებლებში ამიერიდან სამღვთო სჯულის სწავლება უქმდება.

მიწათ-მოქმედების სამინისტროში

სამკურნალო წყლების ანალიზი

მიწათ-მოქმედების სამინისტრო შეუდგა სამკურნალო წყლების ანალიზს. მიმღებ კომისიებმა, გეოლოგების მონაწილეობით, ეკვ ... ნიშნეს ამ წყაროების სასინჯარი ... ოლქის წრეები. დუშეთის მაზრაში შვიდ ალაგას არის მიღებული ამგვარი წყაროები და მათ შორის საყურადღებოა კობის მეავე წყარო, რომელიც დღეში 86,400 ვედრა წყალს აძლევს. ეს ამოდენა სამკურნალო წყალი საკმარისია სასმელადაც და ვანის მისაღებადაც იმ შემთხვევაში, როცა აქ დაარსდება სამთო საკლიმატიურო კურორტი. აქ კურორტის მოწყობას ხელს უწყობს ლამაზი მიდამო, მშვენიერი საქართველოს სამხედრო გზა-ტკეცილი და საღი კარგი მთის ჰაერი 6,000 ფუტის სიმაღლეზე. ეს ალაგი დაწვრილებით დაუთვალიერებიათ გერმანელებსაც და გამოუთქვამთ სურვილი, რომ აქ მთის კურორტი მოეწყოს.

ფოსტა-ტელეგრაფი

დამოკიდებულება ადერბეიჯანთან და სომხეთთან.

ადერბეიჯანსა და სომხეთთან ტელეგრაფის კავშირის აღდგენის გამო დაწესდა მიღება და გადაცემა დანიშნულებისამებრ ამ რესპუბლიკაში მიმართულ დეპეშებისა შინაგან კორესპონდენციაზე დადებული ნიხრის გადახდევინებით.

დეპეშები უნდა იქნენ დაწერილი რუსული ანუ ლათინური ასოებით.

საქართველოს ტყე.

საუბარი პროფესორ ქურდიანთან.

ტყის სივრცე.

ჩვენ ტყეს დღესუკავია 17,722,20 დესეტინა სახაზინო მიწა. ამ ჯამს რომ მიუმატოთ კერძო მესაკუთრეთა ტყე ზომით 1042772 დეს. გამოვა, რომ საქართველოს რესპუბლიკის ტყის სივრცე დღევანდლამდე უდრის 1,814,992 დესიატინას.

ტყის საკითხი.

ტყის მოვლა-პატრონობის საკითხი დღეს ერთ მორიგ საჭირბოროტო სამზრუნველო საკითხად არის აღიარებული. მიწათ-მოქმედების სამინისტრომ, რომლის კომპეტენციაშიც შედის ეს საქმე, დიდის ენერგიით და საქმიანობით მოჰკიდა ხელი ტყის მოვლის საკითხის რაციონალურ პირობებში ჩაყენებას. საქმის ხელმძღვანელათ—ტყის ნაწილის ინსპექტორად მიიწვია ამ საქმის ზედმიწევნითი მცოდნე—ცნობილი პროფ. სატყეო საქმეში ს. ზ. ქურდიანი.

ტყის დაცვა.

ერთ უმთავრეს მიზეზათ ტყეების განადგურებისა პროფ. ქურდიანის აზრით, უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ პასუხისმგებლობა ტყის განმადგურებელ გამჩეხავებისა მეტად უყურადღებოთაა დაყენებული. ჩვენი კანონების მიხედვით დამნაშავეთ აღ. უპირდაპირებენ სისხლის სამართლის სასჯელს, როგორც მაგალითად ქურდობას, არამედ მათ, როგორც უბრალო ტყის მჩეხველთ ისე სჯიან ე. ი. ადგენენ მათზე ოქმებს და აჯარიმებენ მათ. სატყეო ნაწილი პროფ. ქურდიანის ხელმძღვანელობით ადგენს ამ ჟამათ კანონ-პროექტს, რომლის ძალითაც ეს სპეკულიანტები ჯარიმის მაგიერ სისხლის სამართალში იქმნებიან მიცემულნი. გლეხებს კი, საჭირო სათბობი მასალა ექნებათ მიცემული და აღარ ექნება ალაგი ტყის ჩეხას გამდიდრების მიზნით, სპეკულიანტების მიერ.

სატყეო კურსები.

გარდა ამისა პროფ. ქურდიანის აზრით თუ ეხლა თითო სატყეო ნაწილის გამგეს ხვდება 20 ათასი დესეტინა მოსავლელათ, რაც ანორმალურ მოვლენათ უნდა ჩაითვალოს, ძალების გამრავლების შემდეგ, რასაც მოგვცემს სატყეო კურსები, ეს დაბრკოლება გადალახული იქნება.

ტყით სარგებლობა.

დღემდის ეს საკითხი არ იყო რიგზე დაყენებული. პროფ. აზრით უნდა სახარჯოთ ავიღოთ იმდენი რიცხვი რა ზომისაც ახალი ტან აყრილი ტყეა და ამ ზომისა უნდა მოიჭრას ძველი ტყიდან დესეტინაზე რომ 1/4 კუბ. საჟ. ვიანგარიშოთ მაშასადამე ჩვენი ტყის საერთო რიცხვის დესეტინიდან 400 ათას კუბ. საჟენის მეტს ვერ მოვჭრით.

შემოსავალი.

კუბიკური საჟენი რომ ალაგობრივ 15 მანეთი ვიანგარიშოთ შემოსავალი დაახლოებით მოგვეცემა 6 მილიონ მანეთამდე და ამ ჯამს თუ სხვა საიჯარო შემოსავალსაც მიუმატებთ დაახლოებით 8 მილიონ მანეთამდე უწევს შემოსავალი.

გასავალი.

მართალია მთელი ხარჯი მომავალ წლამდე ნავარაუდევია 3,473,700 მანეთი, მაგრამ შედარებით ამ ზემო აღნიშნულ შემოსავალთან ეს გასავალის ციფრი საშიშო არ არის.

შეშის მიღების დაბრკოლებანი.

სატყეო ნაწილს ამ ჟამად დამზადებული

აქვს საგურამოსა და აღბულაღის რაიონებში შეშა ასე 10 ათს კუბ. საჟენამდე, მაგრამ მისი გამოზიდვა ფერხდება იმ გარემოებით რომ ამ მცირე მანძილზე ჩამოსატანს თითო ურემზე 700—800 მანეთს თხოულობენ, მაშასადამე რა ფასში უნდა მიაწოდოს სატყეო ნაწილმა მცხოვრებთ საკენი რომ ეს ხარჯი აინაზღაუროს.

შეშის ჩამოტანის საქმე.

არის წინადადება ს. ზ. მაჩამლისა, რომელიც სატყეო ნაწილს ურჩევს. საგარეჯოში დასახლებულ ჯავახელ ლტოლვილთა საქონელის კვება იკისროს სატყეო ნაწილმა და სამაგიეროთ მოიხმაროს ეს საქონელი ამ შეშის ჩამოსატანათ.

საერთოდ პროფ. ქურდიანი ტყის საკითხს მომავალში იმედიანის თვალით უყურებს მეტადრე მაშინ.როცა, გვეყოლება საკაკმაო კონტიგენტი სატყეო საქმის ზედმიწევნით მცოდნე ახალ ძალებისა.

მომარაგების კომიტეტი

მოწყალეო ხელმწიფეგ, ბ. რედაქტორო!

პატივცემულ გაზ. „საქართველ. რესპუბლ.“ №-96 №-ში წერილია მოთავსებული ბ. ექიმ ლ ი-ს, რომელიც მომარაგების კომიტეტის წამლების საწყობს უმართებულოდ ეკიცეგ. ექიმი ლ ი ბრძანებს: „საექიმო-სასანიტარო განყოფილებამ მომარაგების კომიტეტს სთხოვა, მესამე და მეოთხე სამკურნალო რაზმებისათვის მიეცა სხვა და სხვა წამლეულობა“. ამასთანავე საექიმო-სასანიტარო განყოფილებას ამავე დროს წამლები უთხოვია „გორის მაზრის საეპიდემიო რაზმისათვისაც“, მაგრამ როგორც ბ. ექიმი ლ ი დაბეჯითებით ამბობს, „მომარაგების კომიტეტს ჯერ არც ერთ ამ დაწესებულებისათვის აქამდის წამალი არ მიუცია“.

გაუგებრობის თავიდან ასაცდენად, სიმართლის აღსადგენად, ბ-ნო რედაქტორო, კეთილ ინებეთ და ნება მიბოძეთ „საქარ. რესპუბლ.“ საშუალებით საზოგადოების საყურადღებოდ განვაცხადო შემდეგი: მომარაგების კომიტეტი, როგორც ბ. ლ ი-ს წარმოუდგენია, „გულცივობას“ საზოგადოებისადმი არ იჩენდა და არ იჩენს. მიმდინარე წლის 23 მაისიდან პირველ აგვისტომდე სხვა ტ სხვა საზოგადო დაწესებულებამ, საექიმო-სასანიტარულმა რაზმებმა ტ სხვა საწყობიდან წაიღეს 2787613. 82 კ. წამლები, პირველ აგვისტ. პირველ სექტემ,—67801 მან. და 05 კ., პირველ სექტემ, პირველ ოქტომბ.—45459 მ. და 55 კ., პირველ ოქტომბ. პირველ ნოემბრ.—40538 მ. და 79 კ., რაიცა ჯამი უდრის 432561 მ. და 21 კ. თუ რამდენი მანეთის წამლები რა და რა დროს ვისი საფასით სხვა და სხვა საექიმო რაზმებისათვის დასახელებულ კომიტეტს მიუცია ამის დასამტკიცებელ სტატისტიკურ ცნობებს, რომლის პირი სასანიტარო განყოფილებას მიმდინარე წლის 6 ნოემბ. (საქმის № 135) ხელთ აქვს, ქვემოთ მოვიყვანთ. მხოლოდ აქ, ბარემც ვსთქვათ, ვიტყვი გაბედული ექიმი ლი-ს საყურადღებოთ, რომ გორის მაზრის საეპიდემიო რაზმმა, მესამე და მეოთხე სამკურნალო რაზმაც მომარაგების კომიტეტისაგან წამლები მიიღეს. აი ამის დასამტკიცებელი უტყუარი და უდაო საბუთები: 1918 წ. 16 ივლისს მესამე სამკურნალო რაზმმა მომარაგ კომიტ. საფასით მიიღო 5370 მ. და 22 კ. წამალი (მოთხოვნ. № 4248 (686), იმავე რაზმმა 25 ივლისს იმავე კომიტ. საფასით მიიღო 674 მ. და 24 კ. წამალი (მოთხოვ. № 4649 (894), მანვე 7 აგვისტოს კომიტ. საფასით მიიღო 193 მ. ტ 42 კ.წამალი (მოთხოვ.№ 5917) (1124). იმავე რაზმმა პირველ სექტემ. მაიღო 7 მან. და 60 კ. წამალი (მოთხოვ. № 8918 (2570); მეოთხე საექიმო რაზმმა მიიღო 1918 წ. პირველ აგვისტოს მომარაგების კომიტ. საფასით 1676 მან. და 54 კ. წამალი (მოთხოვნილების № 959 (4821); გორის მაზრაში დროებით ხოლერის საავათმყოფომ შინაგან საქმეთა სამინის. საფასით 1918 წ. პირველ აგვისტოს მიიღო 1426 მ და 66 კ. წამალი (მოთხოვნ. № 5039) (1042), იმავე მაზრაში მეორე ხოლერის საავათმყოფომ იმავე სამინისტ. საფასით 10 აგვისტოს მიიღო 1888 მ. და 85 კ. წამალი (მოთხოვ. № 5864) (1149), იმავე მაზრის ხოლერის საავათმყოფომ შინაგან საქმეთა მინისტრის საფასით 7 სექტემ. მიიღო 1875 მ. და 04 კ. წამალი (მოთხოვ. № 8442.), იმავე სამინისტროს საფასით სურამის ხოლერის რაზმმა მიმდინარე წლის 27 აგვისტოს მიიღო 1375 მან. და 98 კ. წამალი (მოთხოვ. № 8191 (1354); როგორც აქ მოყვანილ უტყუარი საბუთებიდან სჩანს ბ. ექიმი-ლი სიმართლეს ღალატობს და საზოგადოება შეცდომაში შეჰყავს, როცა დაბეჯითებით ამბობს, რომ „ჯერ არც-ერთ ამ დაწესებულებისათვის კომიტ. წამლები არ მიუციაო“, სწორედ ასეთ გაბედულ ადამიანზე ითქმის: „ცეცხლი ვსთქვი, პირი არ დამწვაო“!... ბ. ლის საყურადღებოთ ზემონათქვამ სტატისტიკურ ცნობებს აქვე მოვიყვანთ. აი ეს ცნობები:

წელიწადი, თვე და რიცხვი.	ვის წაუღია.	რამდენის. მან.	კ.	ვის ხარჯზედ.
28 მაისს 1918 წ.	პირველ შემხვევ რაზმს . . .	430	44	მომარიგებელ კომიტეტის.
1 ივლისს 1918 წ.	იმავე რაზმს	12661	29	„ „
8 ივლისს 1918 წ.	პირველ საექიმო რაზმს . . .	1545	64	„ „
28 აგვ. 1918 წ.	იმავე რაზმს	398	17	„ „
27 ივნისს 1918 წ.	პირველ და მეორე საექიმო რაზმს	829	75	„ „
20 ივლ. 1918 წ.	პირველ საექიმო და სასანიტარო რაზმს	3593	95	„ „
1 აგვისტ. 1918 წ.	იმავე რაზმს	15	34	„ „
2 აგვისტ. 1918 წ.	პირველ საეპიდემიო რაზმს . .	236	03	„ „
23 აგვის. 1918 წ.	იმავე რაზმს	36	02	„ „
15 ივნისს 1918 წ.	მეორე საექიმო რაზმს	10666	61	„ „
8 ივლისს 1918 წ.	იმავე რაზმს	2623	90	„ „
15 ივლ. 1918 წ.	იმავე რაზმს	207	44	„ „
25 ივლ. 1918 წ.	იმავე რაზმს	511	16	„ „
6 სექტ. 1918 წ.	იმავე რაზმს	2284	43	შინაგან საქმეთა სამინისტროს.
16 ივლ. 1918 წ.	მესამე საექიმო და თვალ ყურ მადევნებელ რაზმს	5370	22	მომარიგ. კომიტეტის.
25 ივლ. 1918 წ.	იმავე რაზმს	674	24	„ „
7 აგვ. 1918 წ.	იმავე რაზმს	193	42	„ „
1 სექტ. 1918 წ.	იმავე რაზმს	7	60	ნაღდ ფულზედ.
1 აგვ. 1918 წ.	მეოთხე საექიმო და თვალ ყურ მადევნებელ რაზმს	1676	54	მომარიგ. კომიტეტის.
18 სექტ. 1918 წ.	მეხუთე საექიმო და თვალ ყურ მადევნებელ რაზმს	2166	21	„ „
15 აგვ. 1918 წ.	იმავე რაზმს	1303	16	„ „
21 აგვ. 1918 წ.	იმავე რაზმს	224	51	„ „
16 ივლ. 1918 წ.	მეორე იმავე რაზმს	273	52	„ „
2 აგვ. 1918 წ.	მეექვსე საექიმო და თვალ ყურ მადევნებელ რაზმს . . .	1470	41	„ „
26 „ „	იმავე რაზმს	270	71	„ „
1 სექტ. 1918 წ.	იმავე რაზმს	2287	43	ნაღდ ფულზედ.
7 აგვ. 1918 წ.	მეშვიდე საექიმო და თვალ ყურ მადევნებელ რაზმს	1946	80	მომარიგებ. კომიტეტის.
28 „ „	იმავე რაზმს	68	80	„ „
8 „ „	მეცხრე საექიმო და თვალ ყურ მადევნებელ რაზმს	796	57	შინაგან საქმეთა სამინისტროს.
16 „ „	მეათე საექიმო და თვალ ყურ მადევნებელ რაზმს	974	35	მომარიგებ. კომიტეტის.
1 „ „	დროებითი ხოლერის საავათმყოფოს გორის მაზრაში . .	1426	66	შინაგან საქმეთა სამინისტროს.
10 აგვ. 1918 წ.	მეორე ხოლერის საავათმყოფოს გორის მაზრაში	1888	85	„ „ „
7 სექტ. 1918 წ.	ხოლერიან საავათმყოფოებს გორის მაზრაში	1875	04	„ „ „
1 აგვ. 1918 წ.	დროებითი ხოლერის საავადმყოფოს ათი საწოლით სიღნახში	2224	70	„ „ „
10 „ „	დროებითი ხოლერის საავათმყოფო სოფ. ზულავერში . .	1991	97	„ „ „
27 „ „	სურამის ხოლერის რაზმს . .	1375	98	„ „ „
12 ოქტ. 1918 წ.	დროებითი სახოლერო საავათმყოფოს სოფ. მეჯვრისხევში.	1876	05	„ „ „
7 სექტ. 1918 წ.	სახოლერო საავათმყოფოებს ტფილისის მაზრაში . . .	1830	36	„ „ „
7 „ „	საეპიდემიო რაზმს დუშეთის მაზრაში	1868	70	„ „ „
16 ივლ. 1918 წ.	ბორჯომის საეპიდემიო რაზმს .	135	78	მომარიგებ. კომიტეტის.
4 ივლ. 1918 წ.	ყვარელის საექიმო რაზმს . .	3661	41	„ „
29 მაისს 1918 წ.	ციების ექსპედიციას მომარიგებ. კომიტეტისა	16615	08	„ „
11 ივლ. 1918 წ.	განირის სოფლ. საავათმყოფოს.	8550	96	შინაგან საქმეთა სამინისტოს.
17 სექტ. 1918 წ.	ბანძის სოფლის საავადმყოფოს.	7504	11	„ „ „
25 ოქტ. 1918 წ.	ყვარელის კერძო საავათყოფოს თელავის მაზრ.	1961	02	„ „ „
23 სექტ. 1918 წ.	ძველ-გავაზის სოფლის აფთიაქს თელავის მაზრ	1852	57	„ „ „
1 „ „	ყვარელის სოფლის საზოგადო საავათმყოფოს	250	30	ნაღდ ფულზედ.
3 ივლ. 1918 წ.	ლანჩხუთის სოფლის საავათმყოფოს	151	80	„ „
5 ივნ. 1918 წ.	გურიის გადმოხვეწილთა კომიტეტს	9473	53	შინაგან საქმეთა სამინისტროს.
26 ივლ. 1918 წ.	გურიის მომხმარებელ და თავდაცვის კომიტეტს	4688	44	ნაღდ ფულზედ.
8 ოქტ. 1918 წ.	სამეგრელოს მომხმარებელ კომიტეტს	6574	28	შინაგან საქმეთა სამინისტროს.
9 აგვ. 1918 წ.	ბახვის საზოგადოებას	3392	17	ნაღდ ფულზედ.
7 სექტ. 1918 წ.	თელავის მაზრის სასანიტრო-აღმასრულებელ კომისიას . .	1831	88	შინაგან საქმეთა სამინისტროს.
24 ივლ. 1918 წ.	დიდი ჯიხაიშის საზოგადო საავათმყოფოს	4487	87	ნაღდ ფულზედ.
14 სექტ. 1918 წ.	ჯუმათის სოფლის აფთიაქს .	5155	89	ნაღდ ფულზედ.
18 ივლ. 1918 წ.	კახეთის სახელმწიფო მამულების საავათმყოფოებს . . .	3274	22	„ „
8 ივლ. 1918 წ.	ბორჯომის მამულის საავათმყოფოს	1681	37	შინაგან საქმეთა სამინისტროს.

მაშასადამე, კაცთმოყვარე მკითხველო ბრალს სდებს მომარაგების კომიტეტს. როცა და მიუდგომლათ გაეცნობა მეტათ გაბედული (იხ. „საქართვ. რესპ.“ № 96) არ მოგვწერს.

როგორც საბუთებიდან სჩანს ბ. ლი უსაბუთოდ ჩვენ მიერ მოყვანილ საბუთებს გულდასმით ექიმი ლი, მაშინ, ვფიქრობთ, ასეთ წერილს

ზ. ჩიჩუა.

გერმანული პრესის ცნობა.

(საქ. დეპ. სააგ.)

გერმანია და რუსეთი-

საბჭოთა მთავრობის რადიოდეპეშის გამო, სადაც გერმანიის ხალხს მოუწოდებენ შეადგინონ პროლეტარული მთავრობა და გერმანიის გენერალური საელჩოების დაპატიმრების გამო, გერმანიის მთავრობამ მოსკოვის საბჭოთა მთავრობას გაუგზავნა ნოტა, სადაც მოითხოვს: 1) რუსეთის მთავრობამ იცნოს გერმანიის არსებული მთავრობა ტ თავი შეიკავოს გერმანიის ხალხზე ძალდატანებაში ახალი მთავრობის შესადგენათ. 2) რუსეთის მთავრობამ განმარტება მისცეს გერმანიის მთავრობას მოსკოვსა და პეტროგრადში გერმანიის გენერალურ საელჩოთა დაპატიმრების გამო. ბერლინში მიიღეს ცნობა, რომ გერმანიის საელჩოს თანამშრომელნი და მათთან ერთად 700 კაცი გამოემგზავრენ მოსკოვიდან და პეტერბურგიდან და ალბათ უკვე გადმოიარეს გერმანიის და პოლონეთის საზღვარი.

შეიდემანის სიტყვა.

სახალხო კომისარმა შეიდემანმა, რომელსაც ახლა დ-რ ლანდს ერგის ადგილი უჭირავს და რომელმაც პრესის განყოფილება მიიღო, პრესის წარმომადგენელთა პირველ კრებაზე თავისი აზრი გამოსთქვა ცენზურისა და დამფუძნებელ კრების შესახებ. ცენზურის შესახებ მან სთქვა, რომ ბეჭდვითი სიტყვის ცენზურა უნდა გაუქმდეს დამფუძნებელ კრების შესახებ შეიდემანი, ისე როგორც ლანდ სერგი იმ აზრისაა, რომ მთავრობა მოვალეა, რაც შეიძლება მალე მოიწვიოს დამფუძნებელი კრება. ამ საქმის გადადება და დაყოვნება ნიშნავდა ეროვნულ უბედურებას, რადგან უმისოთ წარმოუდგენელია ზავი. მთავრობისა მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების დამოკიდებლობაზე შეიდემანმა სთქვა, რომ მოლაპარაკება

-ოფლების გაფართოვების შესახებ ჯერ კიდევ არ დასრულებულა. მთავრობა, როგორც აღმასრულებელ ძალა-უფლების ორგანო, სრული თავისუფალი უნდა იყოს თავის მოქმედებაში და არ დაუშვებს, რომ მის საქმეში სხვა ვინმე ჩაერიოს. მოლაპარაკებამ ორშაბათისთვის უნდა გამოარკვიოს მდგომარეობა.

სამშვიდობო წარმოებაზე გადასვლა

ეკონომიურ დემობილიზაციის ცენტრალურმა სამართველომ გამოსცა ინსტრუქციები, რომლის თანახმად იმ ქარხნებმა, რომლებიც წინად სამხედრო მასალებს ამზადებდა, დაუყონებლივ უნდა განაახლოს მუშაობა იმ მასალების დასამზადებლად, რომელსაც მშვიდობიანი დრო მოითხოვს. მთავრობამ და მუნიციპალიტეტმა ზომები უნდა მიიღოს და ყოველგვარი დაბრკოლება მუშაობაში უნდა გადალახოს.

სურსათის საჭიროება

დანციგიდან იუწყნბიან, რომ დასავლეთ პრუსიაში დიდი თოვლი მოვიდა, რის გამო კარტოფილისა და ბარსლის აკრება შეუძლებელი ხდება. ასეთივე ცნობები მოდის გერმანიის სხვა ადგილებიდან. სხვა ქვეყნიდან სურსათის შემოზიდვა ეხლა უფრო საჭიროა, ვინემ ოდესმე.

მ ი ს ა ლ მ ე ბ ა

გერმანიის სახალხო მთავრობას შვეიციამ რევოლუციის ბრწყინვალე გამარჯვების გამო მოლოცვის დეპეშა გამოუგზავნა. გერმანელებმა მოლოცვის დეპეშაზე მადლობა გადაუხადეს შვეიცის სოციალ-დემოკრატებს.

დროებითი ზავის გამო უკმაყოფილება

გერმანელები უკმაყოფილებას გამოსთქვამენ დროებითი ზავის მძიმე პირობების გამო და თან იმედოვნებენ, რომ დამყარებული იქნება სამართლიანი ზავი, რომელიც ყველა მოწინააღმდეგეს შეარიგებს და დაარსდება ხალხთა ლიგა, რომელიც მომავალში უზრუნველყოფს ხალხს ომისაგან. იმ შემთხვევაში კი, თუ გერმანია აიძულებს მიიღოს სამარცხვინო და მკაცრი ზავი, შერიგების მაგივრ გაჩნდება შფოთი და შფოთისძიების გრძნობა.

ბრანტიგის აზრი

შვეიცის სოც.-დემ. ლიდერმა ბრანტინგმა აცნობა ალბერტ ტომას, რომ იმ შემთხვევაში თუ მოკავშირენი არ შეცვლიან დროებითი ზავის პირობებს, გერმანიის მდგომარეობა აუტანელი იქნება. გერმანიას უნდა დართონ ნება ევაკუაციის და რკინის გზის მასალათა გადაცემა მცირე ხნით დაგვიანოს, წინააღმდეგ შემთხვევაში იქ გამეფდება ბალშევიზმი, რომელიც ხელს შეუშლის დემოკრატიულ რესპუბლიკის განმტკიცებას. არსებობს ასეთი წინადადება, რომ ვილსონს, როგორც მთელი ქვეყნის ხალხთა ლიგის შემქმნელს, მისცენ ნობელის საზავო პრიზი.

ებრაელთა დარბევა

უკანასკნელ ორი კვირის განმავლობაში გალიციაში მოხდა ებრაელთა დარბევა. კრაკოვის გაზეთი „ნოვი დზენიკი“ იუწყება, რომ დარბევა სხვა ადგილებშიც მოხდა. დახოცილთა რიცხვი დიდია. ებრაელთა სახლები და დუქნები გაძარცულია. ებრაელები ქალაქიდან გარბიან. ზოგიერთ ადგილებში დამცველი რაზმები შესდგა, მაგრამ მათ იარაღი აჰყარეს. გალიციის ებრაელობა აღელვებულია. ვილსონს და ნეიტრალურ სახელმწიფოებს დეპეშა გაუგზავნეს. მოითხოვენ დახმარებას. ცნობაა, რომ გერმანიის ჯარის მიერ დაჭერილ აღმოსავლეთ ოლქებს ემუქრება მოახლოვებული საფრთხე. ზოგიერთ ადგილებში კი, რაც ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოები დაარსდა, ყველაფერი სიწყნარით ჩატარდა. ზოგიერთ ადგილებში თვით მცხოვრებნი მონაწილეობდნენ დუქნების მტვრევაში, თავდასხმაში, ტრანსპორტების დაკავებაში და რკინის გზის გაფუჭებაში. არეულობა პოლონეთშიც იწყება.

ინგლისური პრესის ცნობა.

(საქ. დეპ. სააგ.)

გერმანელები და ბრიტანეთი.

ინგლისური პრესა, 22 ნოემბერს.

ლორდთა პალატაში კეიმმა განაცხადა, რომ მტრის მიერ ყველა დატყვევებული და დაპატიმბრებული მოქალაქე დაბრუნებულ უნდა იქნეს თავის სამშობლოში. მთავრობას აზრათა აქვს შეიტანოს პროექტი, რომლითაც მას უფლება ექნება გააძევოს უცხოელნი, როგორც ომის, ისე მშვიდობიან დროს და სხვა და სხვა ქვეყნის ერთა დიფერენციაცია მოახდინოს. კერძოთ კეიმ იმ აზრისაა, რომ არც ერთ გერმანელს არ უნდა ექნეს უფლება ფეხი დაადგას ბრიტანეთის მიწაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბელგიის მთავრობა.

მეფე ალბერტმა გადასწყვიტა შეადგინოს ახალი მთავრობა, სადაც ყველა უმთავრესი პარტიისა წარმომდგენელი შევა.

ფრანგთა ჯარი.

ფრანგების ჯარი ბუდაპეშტში და სტამბოლში შედის.

თალაათ-ფაშა და ენვერ-ფაშა.

თალაათ-ფაშა და ენვერ ფაშა, გერმანელ ოფიცრის ტანისამოსში გადაცმულები ბერლინში ჩავიდენნ. გერმანიის მთავრობამ გადაწყვიტა დააკავოს ისინი და ზავის ჩამოგდებამდე გააძევონ გერმანიიდან.

ინგლისის მეფის სიტყვა.

ინგლისის მეფემ გულითადი მადლობა განაცხადა იმ თავგანწირვისა და ერთგულებისათვის, რომელმაც მოკავშირეებს ბრწყინვალე გამარჯვება მიანიჭა და მოუწოდა პარლამენტს, შესწყვიტოს ენერგიული მუშაობა იმ დრომდე, სანამ არ აღადგენენ ომის მიზეზით გამოწვეულ ზარალს და ვიდრე აღდგენილ არ იქნება ხალხის კეთილმდგომარეობა. მეფემ იმედი გამოსთქვა, რომ ერთსულოვნება, რომელმაც ძალა მისცა ინგლისის ხალხს ომის დროს, არ დაირღვევა და პარლამენტი ენერგიულ მუშაობას გასწევს დისციპლინარულ თავისუფლების მტკიცე საფუძვლის ჩასაყრელათ და ბრიტანიის ხალხის კეთილმდგომარეობისათვის.

ხალხთა ლიგა თუ საზღვაო ძალთა გაძლიერება.

ვაშინგტონიდან იუწყებიან: დეპუტატთა პალატის საზღვაო კომისიაში საზღვაო საქმეთა სეკრეტარმა დანიელსმა სთქვა, რომ ხალხთა ლიგა და საყოველთაო იარაღის აყრა, მომავლის საკითხია. ახლა კი აუცილებელია საზღვაო ძალის გაძლიერება იმ პროგრამით, რომელიც სამი წლით შემუშავდა და რომელსაც მხედველობაში ჰქონდა გაკეთებულიყო კიდევ 10 დრედნოუტი, 6 კრეისერი და 140 სამხედრო გემი.

ბელგიის ოკუპაცია.

მოკავშირეთა ჯარი შეუჩერებლათ განაგრძობს ბელგიის ოკუპაციას და გერმანიისკენ სვლას.

გემების გადაცემა.

ბრიტანიის ფლოტს, ამერიკის საზღვაო ძალთა თანადასწრებით, გერმანიამ გადასცა 70 გემი. ამათში 5 ჯავშნოსანი კრეისერი, 7 მსუბუქი კრეისერი და 9 ჯავშნოსანი გემი.

რუსეთის ფრონტზე.

ბრიტანიის მთავარი ბანაკი ჩრდილოეთ რუსეთში, იუწყება, რომ 19 ნოემ. ბალშევიკებმა დვინის სანაპირო გემებიდან ყუმბარები დაუშინეს ბრიტანიის და ამერიკის ქვეითი ჯარს, გადმოვიდნენ შეტევაზე და გვაიძულეს უკან დახევა. დამხმარე სათადარიგო ჯარი და კანადის საველე არტილერიის დახმარებით ბოლშევიკები უკუვაგდეთ და დიდი ზარალი მივაყენეთ.

მეტცში შესვლა.

საფრანგეთის ჯარი მეტცში შევიდა. მცხოვრებნი აღფრთოვანებით მიეგებნენ ჯარს.

განთავისფლებული ტყვეები.

განთავისუფლებული მოკავშირეთა სამხედრო ტყვეები, ელზასიდან, ბელგიიდან და გერმანიიდან ნაწილ-ნაწილად ჩამოდიან პარიზში. განთავისუფლებული ტყვეები გამხდარი და შიშველ-ტიტველნი არიან.

პროტესტი და სურსათის მიუცემლობა.

ბონარ ლოუმ ქვედა პალატაში განაცხადა, რომ გაგაში გაგზავნილია დეპეშა გერმანიის მთავრობის მიმართ, სადაც პროტესტია გამოცხადებული ბრიტანიის სამხედრო ტყვეების განთავისუფლების მოუწესრიგობის გამო, რომლის შედეგია აუწერელი ტანჯვა და მრავალი სიკვდილი. ინგლისის მთავრობა მოითხოვს, რომ ყოველგვარი ზომები იქნას მიღებული ამ საკითხის მოსაგვარებლათ, წინააღმდეგ შემთხვევაში ბრიტანიის მთავრობა იძულებული იქნება მხედველობაში მიიღოს ეს მდგომარეობა გერმანიისთვის სურსათის მიწოდების საკითხის განხილვის დროს... (დამახინჯებულია)

სასურსათო მინისტრმა განაცხადა, რომ არავითარი სურსათი არ გაიგზავნება გერმანიაში სანამ სასურსათო საკავშირო საბჭო არ დააკმაყოფილებს თავის მოთხოვნილებას.

ცნობები მოსკოვიდან

მოსკოვი, 24 ნოემბერი. ც. ა. კ. ბეჭდვითი ბიუროს ბიულეტენი.

ლ ო ნ დ ო ნ ი, 22 ნოემბერი. გუშინ დაითხოვეს ინგლისის პარლამენტი, რომელიც 1910 წლიდან არსებობდა. ახალი არჩევნები დანიშნულია 14 დეკემბრისთვის.

23 ნოემბერს დაჭერილ ადგილებში მეამბოხენი აარსებენ საბჭოებს. იამპოლი სოფ. მიხაილოვკაში აირჩიეს რევოლიუციონური კომიტეტი.

ულობინიდან იუწყებიან, რომ რევოლიუციონურმა რაზმმა დაიჭირა უზუ და გომელისკენ მიიწევს.

გერმანულმა საბჭომ გაანთავისუფლა ყველა პოლიტიკური პატიმარი. უკანასკნელთა ნაწილი, ყოფილ სამხედრო ტყვეებთან ერთათ უკვე ჩამოვიდა საბჭოთა რუსეთში. განთავისუფლებულ პოლიტიკურ პატიმართა მატარებელი წითელი დროშებით იყო მორთული. ყოველ სადგურზე, მინსკიდან დაწყებული, მათ ეგებებოდენ გერმანული ჯარისკაცნი. გაიდამაკელნი არ სჩანდენ.

ქრონიკა

○ მთავრობის დადგენილებით, 21 ნოემბერს თათბირი ჰქონდათ ფინანსთა მინისტრს, სახელმწიფო კანტრალიორს და შრომის მინისტრის ამხანაგს სახელნწიფო დაწესებულებების მოხელეთა მატერიალურ გაუმჯობესების შესახებ. კრებამ მოიწონა სამინისტროების კანცელარიათა დირექტორების დადგენილება, რომელიც შემდეგს შეიცავს:

1) მიღებულ იქმნეს ზომები, რათა ახლო მომავალში გათანაბრებული იქნენ ყველა უწყების შტატები.

2) გადაიდოს სახელმწიფო ხაზინიდან ერთდროული თანხა, რომელიც უნდა მოხმარდეს სურსათის ხელმისაწდომ ფასებში მისაცემათ. უკანასკნელი ზომების ცხოვრებაში გასატარებლათ 22 ნოემბერს გაიმართა თათბირი სასურსათო საბჭოს თავმჯდომარის თავმჯდომარეობით, ყველა ზემოაღნიშნულ სამინისტროების წარმომადგენლების მონაწილეობით.

○ 23 ნოემბერს ეკატერინის ქ. ლ. მარაკუსის ბინიდან ქურდებმა მოიპარეს 47000 მ. ღირებული ნივთები.

○ 23 ნოემბერს დღისით ნიკოლოზის ხიდიდან გადავარდა მტკვარში უცნობი ქალი და თავი დაიხრჩო. გვამი მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს.

○ 24 ნოემბერს ტფილისში თოვლი მოვიდა.

○ 24 ამა თვეს დანიშნული წარმოდგენა „რაც გინახავს ვეღარ ნახავ“ კომ, 3 მოქ. ა. ცაგარლისა ელექტრონის ძალის უქონლობის გამო გადადებულ იქნა დღეისთვის. დასაწყისი 7 საათზე. ბილეთების ფასი სახალხოა.

○ მანგლისიდან სომეხთა საქვ. მოქ. საზოგადოებას ატყობინებენ, რომ იქ შეუგროვებიათ ლტოლვილთა ობლები რიცხვით 600 ბავშვი.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ე ბ ი

ქართული შრიფტი.

სახელმწიფო და კერძო

უწყებათა საყურადღებოთ

ყოველ გვარ საბეჭდავ მანქანას უცვლი შრიფტს. დამზადებული მაქვს ლამაზი და გარკვეული ქართული რკინის შრიფტი საბეჭდ მანქანებისათვის. ფასი 400 მან.

ასოთა მჭრელი მ. დ უ ბ ე ლ ი რ ი.

„სევერნი ნომრების ქვეშ“. 1-1-1081

ქართულ მანქანაზე მომუშავე

ახალგაზრდა ინტელიგენტი ქალი

ეძებს შესაფერ ალაგს. მისამართი: კრასნაგორის ქ. № 36 ან გაზ. „საქართ. რესპუბლ“. კანტორაში მოიკითხეთ გამგნს თანაშემწე. 1-1

ალექსი დიმიტრის ძე კაზლოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა უვადო პასპორტი № 1749 რაც გაუქმებულად უნდა ჩაითვალოს. 1086 3—1

მიხეილ ალექსანდრეს ძე ანდრეევი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა სამხედრო ბეგრიდან თავისუფლების მოწმობა მიცემული ქუთაისის სამხედრო უფროსის კანცელარიიდან 1918 წ. 8 ივლისს. 1082 1—3

იოსებ გიორგის ძე გოჩიაშვილი ამით აცხადებს, რომ მან დაჰკარგა უვადო პასპორტი მიცემული ყოფილ ტფ. პოლიცმეისტერის კანცელარიიდგან, რაც უნდა ჩაითვალოს გაბათილებულათ. 1072 3—2

სენაკის მაზრის კომისარიატი აცხადებს, რომ ერმინე გუნიამ დაჰკარგა მოწმობა, მიცებულ სენაკის მაზრის სამხედრო უფროსის მიერ. მნახველი ვალდებულია ხსენებული მოწმობა გამოგზავნოს კომისარიატში. 995 3—3.

გიორგი ივანეს-ძე სარქისოვი აცხადებს, რომ დროებითი მოწმობა, მიღებული ტფილისის ვაჭართა ბანკიდან № 626, 14 ნოემბერს სხვა ნივთებთან ერთად წაიღეს მძარცველებმა, რის გამოც გაუქმებულად ითვლება. 1056-3-2.

იოსებ ქუჩულას ძე მაქაცარიამ დაკარგე უვადო ბაშფორთი მოცემული 1909 წელს № 257. 1078 3—2

ტფილისის ვაჭართა ბანკი ამითაცხადებს, რომ დასახელებულ ბანკის ბილეთი № 598, 1917 წ. სექტემბ. 18 მიღებული, 4885 მან. ბაღდასარ ჰაირაპეტის ძე მანუკიანცის სახელზე, დაკარგულია და გაუქმებულად ითვლება. ბილეთის მპოვნელს სთხოვენ წარმოადგინოს ის ბანკში. 1038 3—2

დავკარგე ბაქოდან გამომგზავრების დროს მოწმობა ნოსირის ორკლასიანი სკოლის დამთავრებისა № 42, რაც გაუქმებულად უნდა ჩაითვალოს. 1066 3—2

ოზურგეთის მაზრის კომისარი აცხადებს, რომ შემოქმედის საზოგადოების რწმუნებულმა ივანე თომას ძე სიმონიშვილმა დაჰკარგა კვიტანციები, მიცემული ბიკტორ ღლონტისაგან სომინდის საფასურში 26515 მანეთისა და მეორე 500 მანეთისა. მნახველს სთხოვენ წარმოადგინოს კომისარიატში. 635 3—1

ნაფიც ვექილის ა. ი. ანდრონიკაშვილის ბინაზე (ოლღას ქ., 9) ამა წლის დეკემბრის 4, დილის 9 საათზე დანიშნულია საჯარო ვაჭრობა ე. ხ. გირგიდოვის ქონების გასასყიდათ ელ. ნაზაროვის პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად. 1085 1—1

ქ. ტფილისის მე-4 მომრიგებელ განყოფილების სასამართლოს ბოქაული არღუთუთინსკი-დოლგორუკოვი აცხადებს, რომ 1918 წ. დეკემბრის 7-ს დილის 10 საათზე, 19 თებერვლის ქუჩაზე № 48 დანიშნულია საჯარო ვაჭრობა გარდაცვალებულ ისმაილ სოფრიმის ძის უძრავ ქონებაზე, რომელიც შეიცავს ბალდახინს, კუბოებს, გვირგვინებს და სხვა. ქონება აწერილია სერგი როსტომის ძის პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად და შეფასებულია 8650 მანეთად. 1083 1—1

თელავის მაზრის სასამართლო განყოფილების ბოქაული აცხადებს, რომ 1919 წ. 10 თებერვალს, დილის 10 საათზე, ქ. თელავში ადგილობრივ მომრიგებელ სასამართლოს დარბაზში მოხდება საჯარო ვაჭრობა ქ. თელავში მცხოვრებთა ბაგრატ, ტიგრან, გასპარას ძეთა, ზანდუხტი და სოფიო გასპარას ასულთ ნარიმანოვების, ქეთევან გასპარას ასულის გურგენოვის და შუშანიკა გასპარას ასულის სუქიასოვის, უძრავ ქონებაზე, რომელიც მდებარეობს ქ. თელავში, შეიკავს ორ სართულიან ქვითკირის სახლს და მიწას ზომით 140 ოთკ. ს. ქონება იყიდება თელავის მცხოვრების პეტროს გრიგოლის ძის არუთინოვის პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად, რომელსაც ზემოხსენებულ პირთ მართებთ 4347 მან. 84 კაპ. % %. მამული დაფასებულია 5000 მან. საიდანაც დაიწყება ვაჭრობა. საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის მიმღებნი ვალდებულნი არიან წარმოადგინონ გირაოთ 500 მანეთი. 1035 1—1

საყოველთაოდ ცხადდება, რომ ქუთაისის ოლქის სასამართლოს 1918 წ. ოქტომბრის 21 დადგენილებით კოოპერატიულ ამხანაგობათა ნუსხაში შეტანილია წესდება გეჯეთის მომხმარებელ საზოგადოებისა „ივერია“, რომელიც დაარსებულია ს. გეჯეთში, სენაკის მაზრა, ქუთაისის გუბერნია. 1003 1—1

ქუთაისის მომრიგებელი მოსამართლე აცხადებს, რომ ვექილობა იაკობ არონის ძე ფიჩხაძის მიერ მიცემული ისხაკა არონის ძე ფიჩხაძეზე, რომელიც არის დამტკიცებული ქუთაისის ნოტარიუსის კოკოჩევის მიერ ამა წლის 9 მარტის რეესტრის 371 ნომრით, 11 ამა ნოემბრის დადგენილებით გაუქმებულია. 997 3—2

ქ. ტფილისის მესამე მომრიგებელ განყოფილების მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ სიმონ გიორგის ძე ჯაფარიძის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება ჯაფარიძის ქონებაზე სამ. კან. კრებ. X ტ. I ნაწ. მე-1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში. 1055 3—1

ქ. ტფილისის მეორე მომრიგებელ განყოფილების მოსამართლე იწვევს 1918 წ. ნოემბრის 13 გარდაცვალებულის ეკატერინე დავითის ასულის კუზანოვას მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება კუზანოვას ქონებაზე კან. კრებ. X ტ. I ნ. მე-1241 მუხ. დადგენილ ვადაში. 1065 1—1

ქ. ტფილისის მეორე მომრიგებელ განყოფილების მოსამართლე იწვევს 1913 წ. ივნისის 24 გარდაცვალებულის, ტფილისის მოქალაქის არტემ სტეფანეს ძე არუთიუნოვის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება კან. კრებ. X ტ. I ნ. მე-1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში. 1064 1—1

კავკასიის უწმიდესი და უმართებელესი სინოდის კანტორა აცხადებს, რომ 1917 წ. ნოემბრის 15 იქ შეიტანა თხოვნა გრიგოლ ივანეს ძე ივანოვმა მის ცოლთან ოლღა ივანეს ასულ ივანოვასთან განქორწინების შესახებ. ივანოვა მიწვეულია კონტორის საკრებულოში მოწმეების დაკითხვის დროს დასასწრებლად ერთი თვის ვადაში. 1052 1—1

საქართველოს რესპუბლიკის ჯარების სამხედრო სასამართლოს 1918 წლის 2 ოქტომბრის დადგენილებით სამხედრო სამართლის წესის მე-951 მუხლის ძალით ეძებენ ქ. ხონის, ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებს, ყოფილ ჯარის კაცს 155 საევაკუაციო პუნქტისა კირილე მელაძეს 29 წლისას, რომელსაც ბრალი ედება ლიტრი ბ. 101 და 103 მუხლების XXII წიგნის ს. დ. კ. 1869 წლის მე-4 გამ. ძალით. ყველა, ვინც იცის სად იმყოფება მელაძე, ვალდებულია განუცხადოს საქართველოს რესპუბლიკის ჯარების სამხედრო სასამართლოს, რომელიც იმყოფება ქ. ტფილისში ოლღას ქუჩა № 48. 996 3—3

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 1918 წ. ოქტომბრის 23 დამტკიცებულია, სოხუმის ნოტარიუს ზადვორნიცკისთან შედგენილი ნასყიდობის სიგელი, რომლითაც მარიამ ივანეს ასულმა პორტიანიკოვამ 1500 მან. მიჰყიდა გრიგოლ ვასილეს ძე პორტიანიკოვს მიწის ნაჭერი შენობებით № 78. ქალ. სოხუმში, ზომით 105 ოთხკ. საჟ. სიმტკიცის გადასახადათ მიღებულია 64 მან. საღერბო 8 მან. 915 1—1

ქუთაისის მომრიგებელი მოსამართლე ამით აცხადებს, რომ ვექილობა იაკოფ არონის ძე ფიჩხაძის მიერ მიცემული ელიათე არონის ძე ფიჩხაძეზე, დამტკიცებული ქუთაისის ნოტარიუსის კოკოჩევის მიერ ამა წლის 2 მარტის რეესტრის 370 ნომრით, 11 ამა ნოემბრის დადგენილებით გაუქმებულია. 998 3—3

კავკასიის სინოდის კონტორა ამით აცხადებს, რომ 1918 წ. სექტემბრის 13 იქ შეიტანა თხოვნა ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე ლევიატოვმა მის ცოლთან ევგენია იაკობის ასულ ლევიატოვასთან განქორწინების შესახებ. დასახელებული ლევიატოვა მიწვეულია სინოდის კონტორის საკრებულოში დასარიგებლად და მოწმების დაკითხვის დროს დასასწრებლად, ერთი თვის ვადაში ამ განცხადების დაბეჭდვიდან. თუ ლევიატოვა აღნიშნულ ვადაში არ გამოცხადდა, საქმის წარმოება გაგრძელდება. 1070 1—1

ბაღდათის მომრიგებელ უბნის გამგე, თანახმათ 1401 მუხ. სამოქალაქო სამსჯავრო წესდებისა, იწვევს დღიდგან ამ განცხადების დაბეჭდვისა ექვსი თვის ვადაში ყარამან, ნიკოლოზ, შალვა და მანუილ სვიმონის ძე კიკნაველიძეების მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ უფლება ხსენებულ კიკნაველიძეების სიკვდილის შემდეგ დარჩენილ მამულზე და ქონებაზე. 1024 1—1

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 1918 წ. აგვისტოს 22 დამტკიცებულია 1917 წ. დეკემბერის 16 შედგენილი ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ევგენი ვლადისლავის ძე მეიერმა 2000 მან. მიჰყიდა ბესარიონ საველის ძე კუციას, მელიტონ მათეს ძე, სერგი და იოსებ პეტრეს ძე ბერაიას მიწის ნაჭერი შენობებით ქ. ფოთში, დიდკუნძულზე, პეტროვსკის ქ., ზომით 400 ოთხკ. საჟ. სიმტკიცის გადასახადათ მიღებულია 80 მან. მთავარი ამონაწერი 10 მან. ღირებულობის საღერბო ქალალდზე მიცემულია ამა წლის აგვისტოს 22. 665 1—1

ცენტრალური სასურსათო საბჭო

(ყოფილი სასურსათო სამინისტრო)

მადათოვის ქ. № 3, ამით აცხადებს საზოგადო დაწესებულებათა და კერძო პირთა საყურადღებოდ, რომ მსურველთ შეუძლიანთ შეიძინონ ხსენებულ საბჭოში მარცვალი მარილი დაწესებულ ფასებში. მარილის მიღება შეიძლება ქ. ტფილისში და ფოთში. 952 12—10